



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49230902

თარიღი:31/03/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ**

**2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ( თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის 'ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



**ანგარიში**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და**  
**არქიტექტურის სამსახურის მიერ**  
**2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

2022 წლის III-IV კვარტლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამსახურეობრივი დებულებითა და კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება“-სთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების ღონისძიებებში. III-IV კვარტლის საანგარიშო პერიოდში მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ ჯამში შეადგინა 112576.98 ლარი, აქედან ფიზიკური პირებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 19288 ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 93886,98 ლარი.

2022 წლის III-IV კვარტლის საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის 19 ფაქტი და მათ წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, რომლის საერთო ოდენობამ შეადგინა 10100 ლარი.

სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა წერილობითი გაფრთხილების ფორმა, რომელიც დაურიგდა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელმაც ეკისრებათ დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანება და მათ მიეცათ გაფრთხილება, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში გატარდება კანონით გათვალისწინებული ზომები და გადაუხდელობის შემთხვევაში სარჩელი შეტანილი იქნება სასამართლოში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მეორადი ავტონაწილებით მოვაჭრეთა მიმართ პერმანენტულად ტარდებოდა უკანონო გარევაჭრობის, გარემოს დაზინძურების, იერსახის დამახინჯების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

2022 წლის III-IV კვარტლის საანგარიშო პერიოდში არქიტექტურის სამსახურის მიერ სხვადასხვა უწყებებიდან შემოსულ 420-მდე წერილზე იქნა პასუხი გაცემული, აქედან 75 ობიექტზე გაიცა მშენებლობის ნებართვა, 48 ობიექტის პროექტში შეტანილი იქნა ცვლილება. ექსპლოატაციაში მიღებულია 27 შენობა-ნაგებობა. 28 მიწის ნაკვეთის დანიშნულების შეცვლაზე გაიცა თანხმობა.

2022 წლის 16 სექტემბერს მსოფლიო დასუფთავების დღესთან დაკავშირებით ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზებით მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე მოეწყო დასუფთავების აქციები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სივრცითი მოწყობა და არქიტექტურის სამსახურმა მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოავლინა, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური, ასევე კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში არსებული უსახური შენობები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მოხდეს არსებული შენობის ფასადის იერსახის მოწესრიგება ან ჩაუტარდეს დემონტაჟი, თუ რომელიმე კონკრეტული შენობა ავარიულია და ის საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სამსახურებთან, რაც შესაძლებელს ხდის ოპერატიულად მოხდეს წარმოშობილი პრობლემების დროულად აღმოფხვრა.

დასუფთავებული იქნა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიებზე ხელოვნურად შექმნილი ნაგავსაყრელები. ეწყობოდა დასუფთავების აქციები, რომლის ფარგლებშიც დასუფთავდა ცენტრალური პარკი - სანატორიუმ „მედეას“ მიმდებარე ტერიტორია და ეზო, ცენტრალური პარკი - ტურიზმის ცენტრი, სამუსიკო სკოლა და კორტები, ახალგაზრდობის ცენტრი, ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორია, ცენტრალური პარკი, სპორტდარბაზის ეზო, საკონცერტო დარბაზ „ივერიისა“ და მუზეუმის ეზოები, სამხატვრო სკოლის ეზოს მიმდებარე ტერიტორია. აქციის ფარგლებში დასუფთავდა დაახლოებით 25300 მ<sup>2</sup> ტერიტორია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 90 მოხალისე და შეგროვებულმა ნარჩენმა შეადგინა დაახლოებით 2200კგ.